

რედაქცია

მოლნინის (აბას-ბატის) მედნაზე, შორდნოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

ბანსხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და გერმანულს ენებზე.

ბანსხადების ფასი

დიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., მთავარ ფურცლით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციფროთი, სტრიქონზე — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა და დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

ბაგოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

ხელის-მოწერა ამ წლის „დროებაზე“

ახლაც შეიძლება. ახალი ხელის-მოწერები, თუ ისურვებენ, თავი-დამ მიიღებენ ყველა ამ წლის ნომერებს, რაც გამოასულა; შეიძლება აგრეთვე რომელიმე თვიდან დი-ბარონ გაზეთი.

დაწერილებითი პირობები გაზეთის სათაურშია.

რედაქციისაგან

სამხლევარ გარეთის ხელი-მოწერ-ლებისათვის ეაცხადებთ, რომ გაზეთი „დროება“ გაზეთებით ღირს, წელიწადში:

საფრანგეთში და ოსმალეთში — 13 მან.

შვეიცარიაში და გერმანიაში — 12 მან.

მაკედონეთს ამას იმიტომ, რომ ზოგ-ნი ფოჩის ფულს არ ანგარიშობენ და ჰგონიან, რომ გაზეთი სამხლევარ გარეთაც 8 მანეთად ღირს.

სამართველო

ბაგოდ-თხილისის რკინის გზა

ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო ნამდვილი ამბავი, რომ „შმაღ-ლესად დამტკიცდა ოფილისიდან ბა-კომდი რკინის გზის გაყვანა“.

მაშასადამე ახლა ეს გადაწყვეტი-ლი და ნამდვილი საქმეა, რომ ორი-სამი ან ბევრი — ხუთი წლის განმ-ავლობაში ქვეყნის აქეთა მხარე მთელს სიგანეზე, შავი ზღვიდან ეი-დრე ქასპის ზღვიამდე, გადაჭრილი იქნება იმ ქვეყნის განმაცხოველებე-

ლის ძარღვით, რომელსაც რკინის გზას ეძახიან.

მა ვიცით; მაგრამ, ჩვენ ჯერ ნამ-დვილი, აფიციალური არა შეგვიტყ-ვეა რა იმის თაობაზე, თუ რა მიმართულება მიეცემა და რომელ ქვეყნებზე გაივლის ეს რკინის გზა. ოფილისში გაერცხლებულია სასია-მოგნო ხმა, რომ გზა ძახეთზე გაი-ვლისა; მაგრამ, ვამბობთ, ეს მხო-ლოდ ხმა არის და ნამდვილად კი ჯერ არა ვიცით რა.

ოფილისისა და საზოგადოთ მთე-ლი ქართველობისათვის მართლა რომ სანატრელი იქნება ამ ხმის ასრულე-ბა!

თუმცა ძახეთი ჩვენი ქვეყნის არცერთს სხვა მხარეს არ ჩამოუარ-დება უკან არც ბუნებისაგან მინი-ჭებულის სიმდიდრით და არც ხალ-ხის მხნეობით; მაგრამ სხვა და სხვა მი-ზეზების წყალობით, მაგალითად ვახსი-სნეულობით, უგზობითა და უწყლო-ბით ძახეთმა ამ უკანასკნელ დროს დაიწია, კახელები თითქმის სხვა ქართველებზე უფრო ღარიბნი და უღონის-ძიებონი შეიქნენ.

რკინის გზა, რასაკვირველია, ყო-ვლად-მკურნალი საშუალება არ არის ქვეყნისა, მაგრამ რაც უნდა იყოს, ცოტათი მაინც მოძრაობის საშუა-ლებას მისცემს კახელებსა, ცოტათი მაინც შეუმსუბუქებს იმ სენს, რომელიც დღეს აწუხებს და საღვათს არ აძლევს.

ზოგაერთებისაგან გაიგონებთ, რომ ქლისავეტპოლის გუბერნია უფრო მიჭდროთ არის მცხოვრებლებისაგან დასახლებულია და, სხვათა შორის,

ამიტომაც უნდა გაიყვანონ აქეთკენ გზა.

მა, ჩვენი ჰაზრით, ერთობ სუსტი საბუთია: ბანა კახეთი არ არის მჭი-დროთ დასახლებული? ბანა ძახეთს ქლისავეტპოლის გუბერნიაზე ნაკლებ-ბათ ეჭირება თავის ნაწარმოების გა-ტანა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა საგნების შემოტანა?

მაგრამ უმთავრესი საბუთი, რომელიმანც ეს გზის მიმართულების საქმე უნდა გადაწყვიტოს, არის შემ-დეგი:

თუ ახლა ასცილდა ძახეთს რკინის გზა, მერე ვინ იცის — როდის ეღობება; ქლისავეტპოლის გუბერნიას კი მაინც არ ასცილდება: ოფიციალურად ვი-ციოთ, რომ ხელმწიფე იმპერატორი-საგან ბრძანება არის, რომ ბაქოს გზიდან სპარსეთის სამზღვრამდე (ჯუ-ლფამდე) რკინის გზის გასაყვანათ გამოკვლევა ახლაც უნდა დაიწყო-სო. ეს გზა, უეჭველია, თითქმის მთელს ქლისავეტპოლის გუბერნიას გადასჭრის ჩრდილოეთიდან დაწყობუ-ლი სამხრეთამდე.

ამ ნაირად ძახეთზე რკინის გზის გაყვანით ქლისავეტპოლის გუბერ-ნიას თითქმის სრულიად არაფერი არ დააკლდება და ქლისავეტპოლზე გა-ყვანით კი ძახეთი ბევრ ზიანს ნახავს...
ს. მესხი

დღიური

ქალაქში დარწმუნებით ლაპა-რაკობენ, რომ ბაქო-ოფილისის რკი-ნის გზის გაყვანა მთავრობამ იმავე ინგლისელების კამპანიას მიანდოა, რომელიმანც შოთი-ოფილისის რკი-ნის გზა გააკეთაო.

როგორც ისმის, როსტოვო-მლადიკავეზის რკინის გზა ამ წლის ივლისის დამდეგისათვის სრულებით დამზადებული იქნება.

რადგანაც სალიტერატურო საღამოს აფიშის ანგარიშზედ რამ-დენთამე პირთა ეჭვი შემოიტანეს, რომ 19 მანეთი მარტო აფიშზედ როგორ დაიხარჯაო, ამის გამო სა-ჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ პირველად ეს საღამო დანიშნული იყო პარასკევისთვის და შემდეგ, პა-ტივ-სადების მიზეზების გამო, სამშა-ბათისთვის გადაიდვა. ამის გამო აფი-შა ორჯელ დაიბეჭდა და ვგრე დი-დი ფული იმიტომ არის აფიშის ხარ-ჯათ ნაჩვენები.

ჩვენ შევიტყეთ, რომ მომავ-ალი კვირის სამშაბათისთვის აქაური ქართული სცენის მოყვარეთა „სკა-პენის“ წარმოდგენა განუზრახავთ. წინათვე დარწმუნებული ვართ, რომ ეს მახვილი, ცოცხალი კომედია მოლ-ლიერისა, რომელიც თითქო ახლან-დელი ჩვენს ცხოვრებიდან არის ამო-ღებული, ჩვენს ქართულს სცენაზედ ძლიერ კარგათ და მხიარულად წავა.

ჩვენ გვითხრეს, რომ ამ უკა-ნასკნელი ერთი თვის განმავლობა-ში აქაურ უფროსს ნოტარიუსთან ძლიერ ბევრი თხოვნა შეუტანიათ იმ თავად-აზნაურებს, რომელნიც, საადგილ-მამულო ბანკიდან სესხის ასაღებათ, გირაოს მოწმობის მოცე-მას თხოულობდნენ; მაგრამ, თუმცა ამთ ნამდვილი დამტკიცება ჰქონიათ, რომ მამულები იმათ ეკუთვნის, ორის მეტისთვის არაფისთვის არ მიუ-ციათ გირაოს მოწმობა. ეს გარემოება,

ფელტონი

ჩარქვის ძალი

(სხვიტორელის დღიურიდან)

პირიშის ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის მხედრობამ ენერგიულათ მიჰყო ხელი ჩერქეზეთის დაპყრობას და ჯარები შემოადგა სხვა და სხვა მხრით ისრე, რომ საშუალება მოუ-სპეს ერთი თემი მეორეს მოხმარე-ბოდა, როდესაც შიხი, ჯაქი, შაპ-სუგი, ნატუგაცო და სხვანი ერთი მეორეს ველარ ენმარებოდნენ, უფრო-სი ატრიადს ჰყოფდნენ სხვა და სხვა პატარა კალონებათ და ესხმოდნენ თავს სხვა და სხვა სოფლებს ერთსა და იმავე დროს, — ამ დროს გამოჩნ-და ერთი ჩერქეზის თავადის შცხანი-შნაფი ქალი შატუმ-ხანუმი.

ეს ქალი იყო გაუთხოვარი, მდი-დარი, ჭკვიანი, კარგის გვარის შეილი-სა და ამასთან მშვენიერი.

შატუმ-ხანუმი ისარგებლა ამ ყვე-ლა თავის ღირსებებით იმისთვის, რომ ჩერქეზეთი დაეცვა... იპის გაელენამ ისე ღრმად იმოქმედა მა-შინ ჩერქეზეთზე, რომ შატუმას სა-ხელი და მოქმედება შეიქნა რაღაც ზღაპარ-სიტყვაობათ.

სადაც უფრო უჭირდათ ჩერქეზებს, სადაც უფრო გაცხარებული ბრძო-ლა იყო, შატუმ-ხანუმი უთუოთ იქ გაჩნდებოდა. როდესაც თავის კარა-ვს გაშლიდა და გორაზე გადმოდგე-ბოდა ომის დროს, ვერ წარმოიდგენთ ყმაწვილ კაცებზე ამას რა საკვირვე-ლი ზედ-მოქმედება ჰქონდა! შოვე-ლი თავ-მომწონე ჩერქეზი ცდილობ-და როგორმე თავი გამოეჩინა და შატუმს შეენიშნა იმის მხნეობა: პირ-

დაპირ ხმალ-ამოდებული კალონაში შეეარდებოდნენ და, რასაკვირველია, უმეტესი ნაწილი შტიკებზე ეცმოდ-ნენ.

მხოლოდ ერთი შატუმის გაღიმე-ბა დიდ ჯილდოთ მიჩნდათ, და თუ ვინმე ღირსი შეიქნებოდა: „ვაშა! ვაშა! შმაწვილო კაცო!“ — ეს ისეთი ჯილდო იყო, რომ ქვეყნის დიდებს ერჩიათ.

როდესაც გამოჩენილი კაცები შა-ტუმის სანახავათ მივიდოდნენ, თითო დამარქაფებული ცხენი ხელში ეკა-ვით ამ ქალის მისართმევით. ცხენს შორი-ახლოს მიბაძიდნენ ღობეზე, სა-ღამს მისცემდნენ და წავიდოდნენ შინ. შატუმ-ხანუმი შეჯდებოდა ცხენ-ზე, გაათამაშებდა და თუ ჯილდოს ღირსი იყო ვინმე, უბოძებდა თავის ნაჯდომ ცხენსა; მაშინ იმ ნაბოძებ

ცხენზე მჯდომი უნდა განსხვავებუ-ლიყო ყოველ განსაცდელში.

როდესაც ჩერქეზი შეუბოვრათ შე-მოვარდებოდა ჯარში და დაახლიდა მტერს დამაჩას, გაივლებდა ხმალი და მიიგდებდა ცხენს უკან და წაი-ვლოდა, ჯარში ერთი ალიაქოთი შეი-ქნებოდა: „მოჯადული შატუმის ცხე-ნია! ტყვია არ ეკარებო!“ ამბობ-დნენ.

როცა შატუმი დარწმუნდა, რომ მოახლოვდა ჩერქეზეთის აღსასრუ-ლი და პირ-და-პირი ომი ძნელი იყო რუსეთის გამართულ ნასწავლ მხედრობასთან, როცა შემოვილიათ ტყვია-წამალი, საზრდო მოესპოთ, და მასთან მოედვა მთელ ჩერქე-ზეთს სხვა და სხვა ავთომყოფობა, მაშინ შატუმ-ხანუმი არჩია დაელუ-რი ომი. თითო-ორი კაცით და-გვეცემოდა.



რასაკვირველია, ძალიან აგვიანებს და დაბრკოლებას აძლევს ერთის მხრით ბანკის აპროცირებას და მეორეს მხრით იმ თავდა-აზნაურებს, რომელთაც ამ ბანკით სარგებლობა ჰსურთ.

შენახულა, რომ თითქმის არც ერთი სიტყვა არ დაჩა აქ წაუკითხავი და გაუგებარი. მე ამას სხვას არაფერს მივაწერ, როგორც ქართული კაცის სიფაქიზეს და სიფრთხილეს, ერთის მხრით, და ქართული ანბანის სიმარჯვეს და სისრულეს, მეორე მხრით.

პიროვნებათ შენება ადათად შემოსულია მწერლობაში და უკაცრავად წუ გახლდებით, რომ მეც, სოფლის მიბძვით, დღეს თქვენ სახელს ვახსენებ. მრბოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იმ ლექსებზე, რომელიც ძველ კონდაკის ყდაზედ მიწებებულ ფურცლებზედ ყოფილა დაბეჭდილი, როგორც თქვენ ბრძანებთ, მხედრული ასოებით.

მე ნამდვილად არ ვიცი, ქართული მხედრული ასოებით არის დაბეჭდილი, თუ ელახური ანუ მოლდაური ასოებით. მხოლოდ ვგონებ, რომ უნდა იყეს ორიგინალზედაც ამავე ჩვენი გაზეთის ქართული ასოებით დაბეჭდილი, რადგან მოლდაეებს ერთი ანბანი აქვთ მხოლოდ, ლათინური: მხედრულიც ის არის იმათთვის და ხუც(ეს)ურიც.

მე ვლავარაკობ აქ მოლდაურ ენაზედ იმისათვის, რომ თქვენ წარმოსთქვათ ატერას: „ნეტა ეი თუ იციან, რა ენაზედ უნდა იყენენ ეს სიტყვები დაწერილია?“ ამის პასუხად უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც ნამდვილი გამოძიებდგან აღმოჩნდა, ეგ ძვირფასი დოკუმენტი ისტორიისა და არხეოლოგიისათვის ნამდვილად მანტანგ VI-ს თანამედროვე მოლდაეების ნაწარმოები ყოფილა. მნა ნამდვილი მოლდაურია, რომელზედაც დღევანდლადის ლავარაკობენ და სწერენ მოლდაეაში, მალახიაში და რუმუნიაში. მე თითქმის გამაკვირვა ამ შემთხვევამ, რომ ეგ ას ორმოცდა ათ წელზედ მეტი ხნის ლექსები, ვინ იცის, რამდენჯერ გადიწერ გადმოიწერა და გადიბეჭდა, მაგრამ მაინც ისე დაუმახინჯებლად

შენახულა, რომ თითქმის არც ერთი სიტყვა არ დაჩა აქ წაუკითხავი და გაუგებარი. მე ამას სხვას არაფერს მივაწერ, როგორც ქართული კაცის სიფაქიზეს და სიფრთხილეს, ერთის მხრით, და ქართული ანბანის სიმარჯვეს და სისრულეს, მეორე მხრით.

მინ არ იცის, რომ არცერთ ხალხს არა აქვს ოცდა-ცხრამეტი საკუთარი ხმის გარდასაცემად ოცდა-ცხრამეტი საკუთარი ასო (ნიშანი ხმისა); ასე რომ, არა-თუ მოლდაური სიტყვები ადვილად გამოსათქმენი არიან ყოველი ქართველისთვის, არამედ თითქმის არცერთი ენა არ მოიპოვება მრთელს მეროპიაში, აც ახალი და არც ძველი, რომლის სიტყვების დაწერაც არ შეიძლებოდეს ჩვენ შარნაოზას შედგენილ არგინალურ ასოებით. Ich hat muth gehabt რუსულად შეიძლება გადმოიწეროს და გამოითქვას ან „იხ ლატ მუტლ გელაბტ,“ ან „იხ გატ გევაბტ,“ ან „იხ ხატ გეხაბტ“ და ანუ „იხ ატ გევაბტ“ როდესაც ქართულად მშვენიერად კიდევ გამოითქმება და კიდევ წმინდათ დაიწერება ესევე „იხ ჰატ მუტლ გევაბტ.“ ცგრეთვე ლათინურს homo ბევრი გამოსთქვამენ და ამოიკითხვენ ლომო, ომო ანუ გომო, როდესაც ჩვენებური კაცი, თითქო იტალიელი ქალის რძე უწოვიაო, შეჰკვილებს ნამდვილ რომაულად და აწინდელ იტალიანურად: ჰომო, და არა გომო და მეტეხ-ნიაბო. მე ასე ეჭრი და ეკერავი: მე ასე ესტრი და თუ ტყუილად მე ჩემი ქოხ-ბახალა მომწონს, იმ ყვეისა არ იყვეს—გამამტყუნოს ვინმემ.

მს ყველაფერი ასე, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენ პირველ საგანს ავიცილდით. ჩემი ყონალი მოლდაეები სწერენ თავისებურად და გამოსთქვამენ ზემო აღნიშნულ ლექსებს აი ესრედ: Precum cei streinii dorese mosiea s'asade; პრეკუმ ჩეი სტრეინიე დორესე მოშია შე აშაძე, Qând sunt intr'alte teri de nu pot se sade; კუნდ სუნტ ინტრ-ალტე ტერი დე ნუ პოტ სე საძე; Si ea seii de pre mare batuti de furtuna

შკანასკნელ გამოცხდა თავისი სურვილი გათხოვისა: ჩემი ქმარი უნდა იქმნეს ესრეთი ვაჟ-კაციო: უნდა ეცვას თეთრი ჩოხა, ატლასის ახალუხი, იჯდეს ლურჯ ცხენზე, უნდა იომოს ისრე, რომ თეთრი ჩოხის სახელი შემოეხსენ და ახალუხი სისხლში შეიღებოსო.

მით დღეს ნახა შატუმ-ხანუმმა, რომ ერთი ყმაწვილი კაცი ჰხის ლურჯს ცხენზე და მოდის რუსის ჯარისკენ. აცვია თეთრი ჩოხა, ატლასის ახალუხი, წელზე არტყა ხმალი და უკან ტამბაჩა გარტობილი, თვალად მშვენიერი, შავი, ხუჭუჭი თმა მხარზე აყრია, შავი დიდი თვალები გამოკაფობენ მშვენიერის ელვარებით, წამ-წამის ჩეროს დაუფარავს თითქმის სამ თითის დადებზე მზის სხივისაგან ლაქლაქი ლოყები. მს ამაყი მამაცი სწორეთ სასიამოვნო სანახავი იყო.

შატუმ-ხანუმმა რომ დაინახა, სთქვა: აი ჩემი საქმრო! მაგრამ ენახოთ, როგორი ვაჟ-კაცი, აასრულებს იმ პირობაებს თუ არა?

მამაცი შევარდება კალონაში ხვალ და ხვალ და რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოვა დახეული, გასისხლიანებული. მს ყოველივე პირობაები ასრულდა! იფიქრა შატუმმა და შეწუხდა, რომ აღარ ჰქონდა მიხეზი გაემარებინა ხალხი, რომელიც ზოგი ემორჩილებოდა რუსეთს და ზოგი მსმალეთში მიდიოდა.

როდესაც მეომარი შატუმის ბანაკში შეკრბენ, მათ რიცხვში ეს ყმაწვილი კაციც მოვიდა, შორი-ახლოს გადმოხტა ცხენზე, ერთი დამალქეფებული ცხენი მოართვა, მიუახლოვდა და თავი დაუკრა. შატუმმა პირი მოარიდა, ზურგი უჩვენა. მს ყმაწვილმა ითაკილა და წავიდა.

ში კა ჩი de pre mare batuti de furtuna (Si) roaga pre Dumnedei de liniste buna: (მეტია) როაგა პრედუმნედეი დელინისტებუნა: Asa si tipographii d'a chartii svirsire

აშა ში ტიპოგრაფი დეა კერტი სვირშირე

Lauda ne-inctata dau si multemire.

ლაუდა ნეინეტატა და ში მულტემირე.

რასაკვირველია, თქვენ მკითხავთ: რას ნიშნავენ ეს სიტყვები? პირველი და უმთავრესი ჩვენი შინაურული ბაასის საგანიცა ეს არის. როგორც თვით ჩემმა ნაცნობმა მოლდაეანებმაც აღიარეს, ჩვენი პირველი მესტამბეების ზემოხსენებულ ლექსებში შედარებული სრულიად კარგნი ვერ არიან და მონებრებულნი. ამისათვის მე ვარჩიე გადმომეთარგმა იმავე მეთარამეტე საუკუნის ქართველი კაცის ენით, რომ სიტყვები უხეიროდ იყენენ ნახმარნი და აზრები დაკოტლებულნი, როგორც თვით დედანში. აი რას ამბობენ ჩვენი კეთილის მყოფნი მოლდაური მუშები:

მითარ ჰამს წარმოდგენაი გრძობათა კაცთა უცხოთა — მიისწრაფიან, მივლიან შინასკენ უფხოთ, უველოთა, ანუ ვით ხოვალდს მხედომენი, გზანი წაწყმედად უღვოთა, რა მოჩინენ ზღვისა ეღვსა, ხლტიან არ უსაფუძვლოთა: მართ ვგრეთ წიგნის მბეჭდელნი, რა წიგნსა ამას სრულ ვყოფთა, დიდებასა და ქებასა უფალსა მეროსა უხობთა.

მს თარგმანი იმდენად თავისუფალია და დედანს მოცილებული, რამდენათაც თქვენ თვითონ შეგიძლიანთ დინახოთ ამ ორი უკანასკნელი სტრიქონის სიტყვა-სიტყვით თარგმანიდგან:

Asa si tipographii d'a chartii svirsire

მგრეთ ვე მესტამბეები წიგნის გათავებისათვის

Laudä ne-inctata dau si multemire

ქებასა (არა). დაუცხრომელსა მისცემენ და მ-დლობასა.

17-ს აპრილს. ქვეიკარაკივეი

შატუმმა შეჰკერა თავის ხელით ჩოხა, ახალუხი, ჩუსტი, ნოსტი და ქმარი მარტო ერთ ადგილს გახვიტა; გაატანა მსახურს და უთხრა: „ეს მიუტანე იმ ყმაწვილ კაცს, ლურჯ ცხენზე რომ ჰხის. მს ქმარი შემოარტყი წელზე, მაგრამ მეორე ადგილზე გახვიტის ნებას არ ვაძლევ და თუ მის წელზე ნამეტანი ან ნაკლები არ მოუვიდეს, მაშინ გამოუცხადე: ეს ტანისამოსი მტრის სისხლში გასვაროს და გამარჯვებული მოვიდეს ჩემთან, მე ვარ მისი ცოლი და ის ჩემი ქმარი.“

ზაგზაენილმა ყოველივე ასრულა და ტანისამოსიც და ქმარიც ისე ერგო, როგორც ზომით შეკერილი. ზაგზაენილმა მიულოცა და შატუმის სურვილიც გამოუცხადა.

ყმაწვილი შევარდა ჩვენ ჯარში და შემდეგ რამდენიმე ხნის ბრძო-

„დროების“ კორექტორ-გამმცემი
 იმერეთის სამღვდლოების ყრილობა
 16, 17 და 18 აპრილს

იმერეთის სამღვდლოების ყრილობის ამბები თითქმის ყოველთვის გაუგიათ ხოლმე „დროების“ მკითხველებს კორრესპონდენტების, მაგრამ კორრესპონდენტის სიტყვებს ზოგჯერ არ ერწმუნებოდნენ ისინი, რომელთაც უკმაყოფილება ჰქონდათ კორრესპონდენტთან. ხშირად კორრესპონდენტი თავისას ამტკიცებდა და მათი წინააღმდეგი წინააღმდეგს, თუ ფქტებით არა ცალიერი სიტყვით მაინც. ამისათვის მე განსაკუთრებით მივაქციე ყურადღება და ესწერდი ყველა სიტყვებს ვისგანაც რა ითქმებოდა ამ ყრილობაში, მე ამ ყრილობის სცენას წარმოუდგენ მკითხველს და თუ მოგონებული ანუ რაიმე სიტყვა იქმნება ტყუილად დაწერილი, ჩემმა მოწინააღმდეგემ მპარს მოსთხოვოს ვისგან რასაც გამოთქმულად დაესწერ. მე აქ ვქვი არც ერთ სიტყვაში არა მაქვს, რომელსაც მე მოვიყვან. მთმცა სამღვდლოების ყრილობის საქმე დიდ საინტერესოთ არავის მიაჩნია, მაგრამ წაკითხვის შემდეგ ვგონებ ეს აზრი არ შერჩეს მკითხველს.

მს ყრილობა მეცხრე არის დაწყებული. პრილობა იყო დანიშნული 16 ამ თვეს იმერეთის ეპისკოპოსის ბრძანებით. პრილობა იყო დანიშნული მუთათისის სასულიერო სასწავლების საქმეებზე.

სამღვდლოების დეპუტატების შეკრებილება დანიშნული იყო ერთ დიდ მუთათისის სასულიერო სასწავლებლის ზალაში. აღმოსავლეთის კედლისკენ ერთი დიდი გრძელი სტორელი დგას წითელ მაუდით გადაფარებული, ერთი კრესლა, სკამები და აქეთ-იქით შეგირდების საჯდომი ჰარტიები. აღმოსავლეთისკენ ერთი ხატი ასვენია კედელზე ჩვიდმეტ რიცხვს სადამოს.

გამოცხადდებიან დეპუტატები. მითლისა დაბრუნდა ბანაკში, გადმოხტა ცხენიდან და დაეშვა მიწაზე; ჩერქეზეზმა შეიტანეს კარავში, ნახეს ყმაწვილი სასიკვდილოთ დაჭრილი და დაწვიწეს. შატუმ-ხანუმმა შეიყვანა თავის კარავში ავთაყოფი, დაიჩოქა, მობანა და შეუკრა წყლული.

შატუმ-ხანუმმა გაისტუმრა ყველა თავის კარავიდან. მრთსწაათს მარტონი დარჩნენ. მრთი საათის შემდეგ, ჩვენი რუსის ჯარიც შემოვიდა სოფელში და ბარბანის ხმა მოისმა. ჩერქეზები შეეცივდნენ შატუმის კარავში ავთაყოფის წასაყვანათ. იმათ საზარელი სურათი ნახეს: მშვენიერი ყმაწვილი უზბან-ბეი ხელზე გადაშლილი და უგრძობელი ველო მიწაზე; მისს მკლავზე დაედვა თავი შატუმ-ხანუმს, რომელსაც გულიდამაც სისხლი ამოჩუნებდა.....

სხვიტორელი



ქმის სამთლის დანთების დროს დაიწყებენ თავს-მჯღომარის კანდიდატების აღრჩევას. ღებუტატების რიცხვი ორმოცდა ხუთამდე არის, მაგრამ რამოდენიმე არ გამოცხადებულა სხვა და სხვა მიზეზებთაგან.

წინანდელი ყრილობის თავს-მჯღომარე:—მამანო დებუტატო! მე როგორც წინეთ მყოფი თავმჯღომარე წინანდელი სამღვდლოების ყრილობისა ვალდებული ვარ ღაეიცვა წესი ამ სხდომაში ეიდრემდის თქვენ თავს-მჯღომარეს აღირჩედეთ. ბთხოვთ თანხმად (§) 23 სასწავლებლის წესდებისა აღირჩაოთ ე-ნმე თავს-მჯღომარის კანდიდატებათ თქვენ შორისვე დებუტატებთგანი.

ღებუტატები:—ჩვენ შორის არაინ გყავს ჩვენ თავს-მჯღომარის კანდიდატი და გთხოვთ თქვენ დარჩეთ მაგ თანამდებობაზე კენჭის უყრელად. შევლანი გთხოვთ.

თავს-მჯღომარე: მე გმადლობთ რწმუნებისათვის, მაგრამ მაგის აღსრულება არ შემიძლიან. უწმინდესის სინოდის უქაზით 20 დეკემბრიდან 1867 წლისა აღკრძალული არის გამოჩენილი ხმის მიცემით თავს-მჯღომარის აღრჩევა.

ღებუტატები:—მამ გთხოვთ ყველანი ერთად თქვენ და მეორეთ ბ. მლ. ანტონ ბალანჩივაძე იყავით კანდიდატებათ და მოგვეციოთ ნება კენჭის ყრისა.

თავს-მჯღომარე.—ძარგი იყო, რომ თქვენ შორის აგერჩიათ ვინმე დებუტატებთგანი, მაგრამ რადგან ყველას სურვილია თქვენი ნება იყოს. ამასთან კიდევ თქვენ უნდა აღირჩიათ საქმის მწარმოებელიც, რომელზედაც დაფარული კენჭის ყრა უნდა იქნეს.

შეიქნება კენჭის ყრა: პირველ კანდიდატს ბ. მ. ლ. ყველა მსურველებს ხმა აღმოუჩნდა და შავი კენჭი არც ერთი არ აღმოჩენილა, მეორე კანდიდატს ბ. მ. ა. ბალანჩივაძეს ხუთ თეთრ კენჭს გარდა სულ შავი კენჭი აღმოუჩნდა, საქმის მწარმოებელს ოთხი შავი კენჭის გარდა სულ თეთრი მსურველების ხმა აღმოუჩნდა. ამის შემდეგ ყრილობა დაიშალა და მეორე დღის დილაში არ შეკრებილან. დილაზე აღრე შეიკრებიდნან და თავს-მჯღომარის დამტკიცებისა თანავე სხდომა გაიხსნება იქვე რომელიც შემოთაღვეწრეთ. თავს-მჯღომარის მოხსენებაზე ყოველდ-სამღვდლო მობრძანდება სხდომაში. სხდომა ლოცვის წაკითხვით გაიხსნება.

შოვლად-სამღვდლო იქერეთის ეპისკოპოსი: მე თუმცა არ მსურდა ამისთანა უდროეო დროს ყრილობის შეკრება, მაგრამ სასწავლებელი ისე გაივსო შეგირდებით, რომ თუ სახლები არ აშენდა მოსამზადებელი კლასებისათვის და პარალელის განყოფილების ოთახებისათვის ყოველდ შეუძლებელია. მთხ კლასიან სასწავლებელში სასწავლებლის წესდების ძალით ას სამოცი შეგირდი უნ-

და სწავლობდეს და ამ სასწავლებელში დღეს შეიდასამდის აღის შეგირდების რიცხვი. სასწავლებლის სამმართველო საჭიროდ ხედავს, რომ მეორე ადგილას გაიხსნას კიდევ ერთი ოთხ კლასიანი სასწავლებელი. იქონიეთ ამ საგანზე მსჯელობა. ბამოარჩიეთ სადმე კარგი ადგილი თუ ან მოსამზადებელი კლასის და პარალელის განყოფილებისათვის ოთახები, ააშენეთ ანუ მოიფიქრეთ რამე, მეორე ოთხ კლასიანი სასწავლებელი გახსენით, მაგრამ ისევე ამ მუთაისში სჯობია გაკეთდეს მეორე სასწავლებელი, ვინმე სხვა ადგილზე სადმე ერთ მიყრუებულ დაბაში გაკეთებას. ამ სახლებისათვის ძლიერ კარგი ადგილი არის ლოლობერიძის ნასახლარი ადგილი და თუ სთხოვთ, როგორც წინეთ გითხარით, არ შეიძლება, რომ ამ კეთილ საქმეზე არ დაგვიტომოს ეს ადგილი ანუ მცირე თასად არ მოგვეციოს.

(ღებუტატებში ლაპარაკი შეიქნა: უბედურება არ არის ჩვენს ადგილს ჩვენვე ვყიდულობდეთ! ლოლობერიძეების ეს ადგილი, რომ საეკლესიო იყო და არის ქვეყანამ იცის.)

ბ. მ. ა. ბ.—მე გახლდით ბატონო ლოლობერიძეებთან, მაგრამ იმათი ლაპარაკიდან გამომდინარე, რომ ათამანეთათაც არ აძლევენ იმ ადგილს.

შოვლად სამღვდლო: ჩემთან იყო ამას წინეთ უ. ბ. ლოლობერიძე და სთქვა, რომ მეც ვიცი, რომ ეს ადგილი ერთ დროს საეკლესიო იყო და თუ საჭირო იქნა ისევე დაგებრუნებთო როგორიმე გზითო. პიდევ შეეკითხეთ და გაიგეთ რა გითხრასთ. (ამასთან ყოველდ სამღვდლომ კიდევ ბევრი დარიგება მისცა სამღვდლოებს შესახებ თავისი თანამდებობისა და კრებიდგან წაბძანდა შინ.)

თავს-მჯღომარე თავის ადგილიდან. —მამანო დებუტატო! ჩვენი სალაპარაკო და საბასო საგანი ბევრია ამ შეკრებილებზე. მუ გნებაესთ, რომ ჩქარა გათავდეს სხდომა ანუ რამე მოლაპარაკება იქნეს სათუქლიანი გთხოვთ ერთ გულად მიესდგეთ საქმეს. ბევრ უსაფუძვლო კითხვებს და ბაას თავი დაეანებოთ. მივაქციოთ ყურადღება პარ-და-პირ ჩვენ შესახებ საქმეებს. მიდრემდის ერთ საქმეს არ გადავწყვეტო, მეორე საქმეზე ნუ დავიწყებთ ბაასობას. პირველი ჩვენი საბასო და სალაპარაკო საქმე იქნება მოსამზადებელი კლასებისათვის ოთახების აშენება ანუ სასწავლებლის გახსნა. სასწავლებლის სამმართველოს აზრი ამის შესახებ კარგად არის მოყვანილი სასწავლებლის სამმართველოსაგან შემდგარ ჟურნალში, რომელსაც მე ყხლავე წაიკითხე. (აქვე ჟურნალს წაიკითხავს. ჟურნალში უმთავრესი აზრი ის არის, რომ თუ სამღვდლოებთან სურს თავისი შეილები სასწავლებელში შეიყვანონ, უთუდ მეორე ოთხ კლასიანი სასწავლებელი უნდა გაიხსნას. სადაც უნდა იქნეს.)

ამ წინადადებაზე შეიქნება ბაასი და ბოლოს სხვა და სხვა გვარის მოთქრებისა თანახმად შორაპნის უნდის დებუტატებსა ეს საქმე გარდასწყდა ამ სახით: რადგან შორაპნის უნდის სამღვდლოების დებუტატებთა განაცხადეს მეორე ოთხ კლასიანი სასწავლებლის გახსნა შორაპნის უნდში, ამ საგანზე მსჯელობა გადიდეს ეიდრემდის შორაპნის უნდის სამღვდლოები გარდასწყვეტით გამოაცხადებენ თავის აზრს; მანამდის სასწავლებელი დაშთეს ისევე იმ მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს არის. პარალელნი კლასების ოთახები თუ სასწავლებელში არ მოინახებოდეს იქნეს დაქირავებული მახლობლად სასწავლებლისა. შეგირდები იმდენი იქნენ მიღებულინი, რომოდენიც შეიძლებოდეს დატენა. შინაარსი პირველის ჟურნალისა ეს იყო. ამის შემდეგ კრება შეუდგა სხვა საგნებზე მსჯელობას.

შორაპნის მზრის დებუტატებთა განაცხადეს, რომ ოთხ კლასიანი სასწავლებლის აშენებაზე ჩვენ არა ვიცით რაო და ეიდრემდის ჩვენ მარწმუნებლებს არ მოველაპარაკებით მანამდის გარდასწყვეტით ვერას ვიტყვიოთ. ითხოვეს თითო საბლალოჩინო მღვდლების ყრილობები მოხდეს და შემდეგ ამ საგანზე არჩეული დებუტატები იქნენ გამოგზავნილნი მუთაისშიო. მათი აზრი მართალია: ექვლმა თუ მისი მარწმუნებლის თხოვნა არ იცის, როგორ უნდა დაიცვას მისი საქმე? ამისთანა დებუტატებისაგან თუ რამე ითქვა და გადასწყდა ეს მართა დებუტატის სურვილით მოხდება და არა ყველა მღვდლის სურვილით.

X

(ბაგრძელება)

უცხო ქვეყნები

საშრანგეთი. მთქმის ხუთი წელიწადია მას აქეთ, რაც შერმანამ, ანუ უკეთ ესთქვათ, ბისმარკმა საფრანგეთი დაამარცხა ომის ევლზედ. ეს უპირველესი ნაცია, როგორც თავის თავს ეძახიან შრანტუზები, ნაპოლეონ III-ის ოცდა ორი წლის მმართველობამ იმ ზომამდის კიდევ ვერ მიიყვანა, ისე ვერ გარყენა, რომ თვით ხალხს, შემდეგ ამ საშინელის განსაცდელისა, არ დაენახა ცხადათ თავის ნაკლულეანება და დაცემულობა ყოველის მხრით.

შეიძლება ეს ხალხი თავის უბედურებას იმპერიის დროშიდაც გრძობდა, მაგრამ ეს კი ნამდელია, რომ ამ დროს განმავლობაში საფრანგეთს თითქმის ერთი ბიჯით არ გაუდგამს პროგრესისაკენ. ამას ბევრი დამტკიცება არ უნდა: ნახეთ, გადავლეთ თვალი საფრანგეთის დღევანდების ანგარიშებს 1873 წ. პენის საქვეყნო გამოფენაზედ და მაშინ დარწმუნდებით. დღევანდები არ ფარვენ თუ რამდენათ შერაპას უმუშავნია და უკან ჩამოუტოვებია სა-

ფრანგეთი, მამან როდესაც ნაპოლეონ III შონტენილოში და შინარიცში თავის ბალეზით და შეგენია მონტიხო (მეუღლე ნაპოლეონისა) თავის კრინოლინებით ქვეყანას აკვირებდენ.

იქაზე არას ვიტყვი, თუ რამდენი მატერიალური ზარალი მოუტანა ქვეყანას, გინდ ღირსია ყურადღებისა. მატერიალური ზარალი არაფლად ჩაეარდება იმ მორალურ ქვეყნის დაცემულობასთან, რომლის მიზეზი იყო ეს ერთი კაცი. საოცარი ის არის, რომ ერთმა კაცმა ისე დაიმორჩილა, ასე დაზაზუნა ისეთი ქვეყანა, რომელიც კანონებს უწერდა მთელს შერაპას— რომ მის მეფობის დროს არა თუ არ გამოჩენილა არც ერთი შესამჩევნი მწერალი, ადმინისტრატორი, მხედარი, პოლიტიკოსი, მეცნიერი,—და ვინც იყო ისენიც ზოგი ქაენაში და პლყირიაში ჩახარჩო და დანარჩენი სამშობლოდამ განდევნა. შევლა ცოტათი გამოჩენილი და ქვეყანი კაცი პირად მტრად მიჩნდა. მისი მეცადინეობა, ქუა და სურვილი იმაზე იყო მიმართული, რომ სამეფო ტახტი შეილის შეილათ დემტკიცებინა თავის შთამომავლობისათვის და რაც ანუ ვინც კი უელიდა ამ მიზნის შესრულებას ყოველივეს სტეხდა და ჟღერდა. ხალხის ბედნიერება, განათლება, პროგრესი მის ანგარისში არ შედიოდა. ამისათვის სცილობდა და ყოველის შემთხვევით სარგებლობდა, რომ ქვეყანა აეცილებინა პროგრესის გზაზე და დროს ატარებინებდა სხვა და სხვა ომებში!

ღალოცოს ღმერთმა ბისმარკი, რომ საფრანგეთმა პირველ შემთხვევაშივე მისის შემწეობით მოიშორა ეს ჟამი.

მხლანდელი საფრანგეთი რომ შევადაროთ წინანდელს, ისეთს განსხვავებას ენახეთ, რომ გეგონებთ სულ სხვა ხალხიაო. წინანდელი ფრანტუზი იყო ზნეობითი გარყენილი, ცრუ, ამაყი, ეხლანდელი კი მოგაგონებს ნაავათმყოფარ კაცს, რომელმაც ბევრი ტანჯვა და წვალება გამოიჩა და ეხლა როგორც არის ავათმყოფობის ლოგინს მოსცილებია, თუმცა ჯერ კიდევ ჯანი და ღონე სრულიად არ მისცემია, მაგრამ მაინც არ სუსტობს და შეძლებისა და გვართ ჰკიდებს მუშაობას ხელს, ასწორებს და იძენს იმას რაც დაუკარგავს და წახდენია ავათმყოფობის დროს.

რაც ნაპოლეონის მართველობა დედა-მიწის პირიდან გაქრა, ქვეყანამ სულ პირის სახე იცვალა. რაც წინეთ მას აკმაყოფილებდა, ეხლა სძაგს: წინეთ უყვარდა ძილი, სიცილი, ცეკვა,—ეხლა გამოიღვიძა და დაუღალავათ მუშაობს და რასაკვირველია ამ პატროსან მოქმედებას თავის კეთილი ნაყოფი მოაქვს. რაც ძალა და ღონე დაუკარგავს ნაპოლეონის პირადის ანგარიშების მიზეზით, ამ ცოტა ხნის განმავლობაში, თითქო ისევე მოიპოვა, დაადგება იმ კეთილ პროგრესის გზას, რომელიც ყველა ნაციისათვის ასე სანატრელი და სასურველი მიზანია. ეს დროე-

ბიტი ძლიერი ბსმარკა ხალხს სიკვდილის წინაშე მიიღო. მეგობარ, რომ საფრანგეთმა თავის დრო მოქამა და შემდეგ ამ უკანასკნელი დამარცხებისა უნდა თითქმის დაღუპულიყო და მხოლოდ ამისთვის დასჯერდა ცოტა (!) კონტრიბუციას (ხუთი მილიონადი და ორი პროცენტი). ასე რომ არ ჰგონებოდა, გარწმუნებოდა, უფრო ფიცხლად მოეპყრობოდა და რჯულზე დასჯიდა. მაგრამ, როგორც ფაქტებიდან სჩნის, ბსმარკი უცდა. ღრობითი ძილი მორალური ავთ-მყოფობა იყო და როცა ექიმმა (ექიმათ თვით ბსმარკა შეიქნა) უძლიერესი სამკურნალო მიაღებინა, მან უფერად თვალები გამოაჩქაჩა, კრიზისმა გაიარა და წამოდგა ფეხებზე. ამნაირმა სამკურნალო მოქმედებამ ჩვენი ექიმი გააცვიფრა და კიდევაც გაწყრა, მაგრამ წყრომა გვიან მოუვიდა. სადაც სიკვდილს ელოდა, იქ სიცოცხლეს შეხვდა.

მსლა, როცა თავის შეცდომა აშკარათ ხედვს, უნდა გუშინდელი გალანული ისევ ომის ველზედ გამოიტყუოს და შებერტყოს ისე, რომ ერთი ასი წელიწადიც სული ვერ მოიღვას. რადგანაც პირ-და-პირ ვერა ვითარბი მიზეზი უპოვნია საომრათ, ამისთვის ის უფლას ირგვლივ საფრანგეთს. ჯერ ასტრენა (ორენოკოსი საქმე, მერე მსპანიას, მაგრამ საფრანგეთმა როგორ იყო ამოხრა ქეკა ქუხილი. მა ორი კვირა იქნება ეხლა, რაც მერობის გორიზონტს შავი ღრუბელი მოფარა და ყველა იმის კითხვაშია: იქნება ომი თუ არა? აქ ისევ მიზეზის ამტეხი ბერმანია და დამნაშავე როგორ გვინათ ვინ არის? უბედური ბელგია, მაგრამ ბელგია მხოლოდ ფარდა და შორა გამჭვრეტი ბსმარკი ბელგიის უკან შრანციას ხედავს. ბელგიის მდგომარეობა დასტურ საცოდობაა: როცა საფრანგეთი ძლიერი იყო საფრანგეთისა ეშინოდა და ეხლა პრუსიისა.

პარგათ იცით, თუ რა შინაური ომია ატეხილი ბერმანიაში ბსმარკსა და ულტრამონტანებს შუა. შინა გაგეტყდ, რომ ბერმანიის კანკლერის მოქმედება ამ შემთხვევაში დიდათ მომწონს მისთვის, რომ ბერმანი-აში ულტრამონტანები და უფრო იე-ზუიტები საზოგადოებისათვის მანე-ბელ წვერათ შეიქნენ. იმინი თავის უპირველეს დანიშნულებას გარდას-ცილდნენ, ლეთის სიტყვის ქაღა-ბისა და საყვარულის განვრცვლების მაგიერ დნერგვს საზოგადოებაში შფოთი და სიძულვილი, და ამ უკა-ნასკნელ დროებში ისე განძლიერ-

დენ, რომ მუქრობაც დაუწყეს სა-ხელმწიფო ძალას. ბსმარკს ეს არ მოსჩანს და მოინდობა მათი ძალის შემცირება. იეზუიტები გან-დევნა ბერმანიიდან და დანარჩენი პაპა პიო IX-ის ქვეშევრდომები საზოგადო იმპერიის კანონებს და-მოირჩილა და წინააღმდეგობისათვის კი სატუსალოკები ყოველთვის მზათ არის.

ამნაირ შევიწროებამ ბერმანიის ულტრამონტანებისა ბელგიის ულ-ტრამონტანებში და პრესსაში გამოი-წვია მანიფესტაცია მათდა სასარგებ-ლოთ. აგრეთვე გამოჩნდნენ ისეთი ფანტიკები, როგორც ბერმანიაში, აგრეთვე ბელგიაშიდაც, რომელთაც მოინდომეს ბსმარკის სიკვდილი, როგორც ანტიქრისტიანა. ხომ გა-რანდებათ შარშანდელი ქულმა-ნის პროცესი. მეორე პროცესი ეხლა არის ბელგიაში. მართა ბელ-გიელმა, სახელდობ დიუ შენმა, ბარათი მიწერა ერთს საფრანგეთის პისკოპოზს, სადაც უთვლიდა თუ მამცემთ ოცი ათას ფრანკს, ბსმარკს ერთ კვირასაც არ ვაცოცხლებო. მს საქმე ჯერ კიდევ არ გათავებულა.

ბსმარკისათვისა საქმე იყო ეს მიზეზები რომ ბერლინის კანონებს გაეგზავნა ნოტა ბელგიისათვის. მს ნოტა შეიცავს შემდეგს წინადადებს სხვათა შორის: რადგანაც საზოგა-დოთ ბელგიის კანონები ისე სუს-ტია, რომ მართებლობას არ შეუძლია შეკავება ქვეშევრდომებისა და პრეს-სისა, რომელნიცაწუხებენ რამე ნა-ირათ გარეშე სახელმწიფოებს, მე-ზობლებს, ამისთვის გირჩევთ თქვე-ნი კანონები გადააკეთოთო. რადგა-ნაც ბელგიის მართებლობას ხალხის წარმომადგენლების დაუკითხველად, კანონების გადასწორება არ შეუძ-ლიან და წარმომადგენლები რომ არ გადასწორებენ, ეს კარგათ იცის ბსმარკმა, შეიძლება შემდეგში მო-სთხოვოს ბელგიას ამის მაგიერათ ზოგიერთი ალაგები, მაგალითებ ლი-უქსენბურგი და ლიმბურგი, რომე-ლიც ბერმანიის სამზღვარზე არიან, იმ განზრახვით, რომ ბერმანიას ბელ-გიისა შემდეგში მინც არ ეშინო-დეს!

ჯერ ეს დიპლომატიური მიწერ-მოწერა და სიყვარულის განცხადე-ბა ერთმანეთს შორის არ გათავებუ-ლა, და რა ბოლო იქნება, ვინ იცის. ბსმარკის ოინი ბელგიასთან მი-თი უფრო შესანიშნავია, რომ აღ-ვილათ შესაძლებელია საფრანგეთის მმართველობასაც მოუვიდეს ამნაირ ნოტა ბერლინიდან და მაშინ კი არ

ვიცი როგორ გადაურჩება მაკ-მაჰონი, მგონია სედანის დაქრალი-ბა (?) არ დააჯერონ. ძაღვე კარგი, რომ საფრანგეთი ისე სუსტი არ არის, როგორც უკანასკნელ ომში იყო და მზათა ჰყავს რეფას ათასამ-დინ ჯარი, თუ გაუჭირდ, საომრათ. ამ უკანასკნელ დღეებში შამ ბეტამ ორჯელ წარმოსთქვა სიტყ-ვა. პირველთ: მდგარ პინეს საფლავზედ (რასაკვირველია ამის სიკვდილს შაიტყობდით). სადაც მე თვითონ დავესწარი და მეორეჯელ გუშინ წინ ერთ ცალკე ყრილობაში პარიჟშივე. პირველ სიტყვაში უფრო შესამჩნევი ალაგი ის არის სხვათა შორის, სადაც უჩრევს შეერთებასა დემოკრატასა და ბურჟუაზიას. გუშინ წინ კი ქება შეასხა ახალ კონსტი-ტუციას. როგორც ხედავთ რაც დღე მიდის უფრო სუქდება ჩვენი შამბე-ტა. გუშინწინდელმა მისმა სიტყვამ თითქმის ალტაცებაში მოიყვანა ასე-თი გაზეთები, როგორც „Soir, Pa-ris-Journal“ და სხვ.

პარიჟი, 26 (14) აპრილს დ. დ.

წამლებით არამც თუ სრულიათ მო-ჩინება, არც შემსუბუქება, ესეაბა-რატი ზოგიერთს მათგანს სული არ-ჩენს და ბევრს შემსუბუქებას აძ-ლევს.

შუბ ბხუტოვი ახდევინებს ავთ-მყოფებს თითო ხმარებაში იმ აპა-რატიისა — თითო მანეთს და შეუძლე-ბლები სარგებლობენ უფასოთ.

გუხბალტმარსა და კორრესპონ-დენტს, რომელსაც კარგი ვაჭრული განათლება მიუღია ჰს სურს ამ-ლი ოს გაკვეთილები **მრ-კმცი გუხბალტმარისა** (двоинная бухгалтерия) იტალიურის და ინგ-ლისურის მეტოდით — რუსულს და ნემეცურს ენაზე. **ასწავლის** ბანკე-ბის, კომისიონერის, ფაბრიკის და ფი-ნანსის ბუხგალტერიას. შეუძლია ად-გილიც და იტიროს სადმე.

უფრო დაწერილებით ცნობების შეტყობა ამ საგანზე შეიძლება სა-კრავი მაშინების პანცერის მალაზი-აში, ატამანის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, დილის 10 საათიდან ვი-დრე 12-მდე.

განცხადებანი

თფილისის სამაჟრნალო
(4 აპრილის სახსოვრად)

აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვი-რას გარდა, დილის 9 საათამდე ვიდრე 1 საათამდე

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკევიჩი — ხირურ-გის, პარტნიკი — ყმაწვილების, ქაღებისა და ვენერიული ავთმყოფებისათვის, ბრა-ლევ ჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთმყო-ფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: პარტნიკი — ყმაწვ, ქა-ღებისა და ვენერიული ავთმყოფობისათვის

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: პარტნიკი ყმაწ, ქა-ღებისა და ვენერიული ავთმყოფობისა. მარ-კაროვი და ლისიცივი — შინაგანი ავთმყო-ფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მინკევიჩი — ხირურგისა, პარტნიკი — ყმაწვ, ქაღებს და ვენერ. ავთ-მყოფ, ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფ-ობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მარკარ-ვი და ლისევივი შინაგანი ავთმყოფობისათვის.

ქუთაისში ექიმმა ბახუტოვამ გამოიწერა ერთი ძვირფასი ჰამარის სასუნთქველი აპპარატი ვალ-დებურლისა, რომელიც ძალიან შეე-ლის ფილტვების და გულის ავთ-მყოფობას. მს აპარატი მოქმედობს მხოლოდ ჰაერით. ბევრის გულისა და ფილტვების ავთმყოფობას, რომ-ლებისაც აქამდე არ შეიძლებოდა

გიგლიოზრავიული ცნობა

დაიბეჭდა და გამოვიდა გა-საყიდათ

„სამაჟრნილო კონა“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრო-ბანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირველი ნაწილი, შედგენილი **ი. ბოგებაშვილისაგან.**

3 (3) 5

გამოვიდა „ვეზვის ტაოსანი“ გამოცემული არსენ ძალანდაძის და ამხნაგებისაგან და ისყიდება **თფი-ლისში:** შახ-აზიზოვის, მენჯიჯიან-ცის და მართანოვის წიგნის ძალა-ზიებში და უ. მეთეიმე ხელაძის სტამბაში. **ქუთაისში:** ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, **ი. ლარიონ მიქელაძესთან** და სასული-ერო სასწავლებელში. **მ ზ უ რ გ ე თ-ში:** ანტონ ნაკშიძესთან.

უ ა ს ი ყ ო ე ე ლ გ ა ნ ა თ ი
შ ა უ რ ი

აქას გარდა ამთათანავე იყიდებიან პაწაწინა წიგნები: ბეჭანიანი, ძალ-ვაჭიანი, ალექსიანი, წმინდა მარინეს ცხოვრე-ბა და არსენას ლექსი, გა-მოცემული იმავე პირთაგან. — **უ ა ს ი თ ი თ ო შ ა უ რ ი.**

რპ. გზა	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გემები	უოზბა	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	11 18	8			ა) შოთილამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 25 აპრილს.		თფილისი, 29 აპრილს.	
მცხეთა	18 87	10			მდესისკენ — ორშაბ. დილის მსათ.	სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ.	1 20
ზორი	91 39	1 43	2	68 - 38	სტამბოლს — კვირამდით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 33 1/6 პენსი.	— 84	ქერი ფუთი.	60
სურამი	1 52	4 30	3	40 1 23	ბ) სოხუმიდამ:	ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და	პარიჟში 347 სანტიმი.	— 89	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	4 60
ბეჟათუბანი	3 45		4	92 2 18	შოთს — სამშაბათს, ღამით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ. და	მსკონტი (სარგებლისფასი)	5	— ამერიკისა, ფუთი.	6 65
მერილი	6 49		5	42 2 46	მდესას — კვირას, გათენებისას.	შ.ბ. ბახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	100	ბაპენტილი ბამბა ფთ.	8
ქუთაისი	7 55		6	81 3 23	შოთილამ:	ბ) ქუთაისი დამ:	მოგებინი (პირველისხები)	204 25	მატული თუშური ფთ.	6
სამტრედია	9 2		7	75 3 75	I II III	თფილისისა და შოთისაკენ — ყო-	მოგებინი (მეორე ხესხი)	197 50	— მარაქამისა ფთ.	4 50
ახ.-სენაკი	10		8	57 4 76	სოხუმიდამი . 4 3 1	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-	ბარაოს ფურცლები:		აბრეშუმი ნუნური ფრ.	2 60
შოთი	11		9	75 5 42	ქერამადი . 20 50 15 50 5	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს	თფილ. სააზნ. ბანკისა.		ქონი, ფუთი.	4 40
					ჭაგანროვ. 34 27 8 60	— ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88 15	ქონის სანთელი ფუთი.	5 60
					მდესსამადი. 38 30 9 60	გ) ბო რ ი დ ა მ.	მოსკოვის (5%)	86 50	სტერინის სანთელი, ფ.	10 20
						შოველგან ყოველ დღე, კვირას			ხორცი ძროხისა, ლიტ.	60
						გარდა.	აქციები:		— ცხვრისა, ლიტრა.	70
							მდესის სავაჭრო ბანკის.	225 50	სპირტი, ვედრო.	7
							შოთი-თფილ რკინ. გზის	133	შაქარი, კარგი ფუთი.	8 50
							შავი ზღვის ცეცხ. გემების	560	— ფხვნილი ფუთი.	6 90
							ქავეჯის და მერკურის.	168	ქავა გრგვალი ფუთი.	19
							პირე. საზღვევ. საზოგ.	665	ზეთი ქუჩულისა ფთ.	6 49
							პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	მქობ 1/2 იმპერიალი.	5 92
							მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65		